მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია
,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომის

**ოქმი №1**

ქ. მარტვილი 03 დეკემბერი 2021 წელი

სხდომა დაიწყო 10:00 სთ-ზე დამთავრდა 11:30 საათზე

**სხდომას ესწრებოდნენ** მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: გიორგი კოკაია, ლევან სურმავა, ირინა გადელია, ალექსანდრე გრიგალავა, ელიზბარ ახვლედიანი, ნათია ბჟალავა, ზურაბ მელიავა, კობა დარჯანია, მაია გაწერელია, ზაზა რუხაია, შალვა ბახია, ირაკლი დიხამინჯია, ჯამბულ ხუროძე, კახაბერ ჯგერენაია, მინდია გაბისონია.

სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა ელიზბარ ახვლედიანის კანდიდატურა, სხდომის მდივნად შალვა ბახიას კანდიდატურა. ღია კენჭისყრის შედეგად სხდომამ დაადგინა სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ელიზბარ ახვლედიანი და სხდომის მდივნად შალვა ბახია.

**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

1. ფრაქციის წესდების დამტკიცება.
   /მომხსენებელი: - ელიზბარ ახვლედიანი/
2. ფრაქციის თავმჯდომარის არჩევა.
   /მომხსენებელი: -ელიზბარ ახვლედიანი/
3. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევა
   /მომხსენებელი:-

1. მომხსენებელმა ელიზბარ ახვლედიანმა ფრაქციის სხდომის მონაწილეებს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი თავი 6 მუხლი 31-ის შესაბამისად აცნობა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს დაფუძნების შესახებ და გააცნო ფრაქციის ,,ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო" წესდების პროექტი, რომელიც სათითაოდ დაურიგდათ სხდომის მონაწილეებს.

**აზრი გამოთქვეს:** ირინა გადელიამ, ლევან სურმავამ.

სხდომის თავმჯდომარემ ელიზბარ ახვლედიანმა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წესდების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე, რომელიც სხდომის მონაწილეებმა მიიღეს ერთხმად.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" წესდება წარმოდგენილი რედაქციით.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს წესდება სხდომის ოქმს თან ერთვის.

2. სხდომის თავმჯდომარემ ელიზბარ ახვლედიანმა წესდების შესაბამისად ფრაქციის წევრებს მიმართა დაესახელებინათ ფრაქციის თავმჯდომარის კანდიდატურა. ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარედ გიორგი კოკაიამ და მინდია გაბისონიამ დაასახელა ნათია ბჟალავას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა ფრაქცია ,, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარედ არ დასახელებულა.

სხდომის თავმჯდომარემ ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის ნათა ბჟალავას კანდიდატურა დააყენა კენჭისყრაზე.

სხდომის მონაწილე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარედ ნათია ბჟალავას კანდიდატურას.

**დაადგინეს:** არჩეულ იქნას ნათია ბჟალავა ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარედ.

3. ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს განუმარტა, რომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ფრაქციამ ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ უნდა აირჩიოს 5 ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე და დაასახელა ფრაციის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურები:

1. გიორგი კოკაია;
2. ირაკლი დიხამინჯია;
3. მინდია გაბისონია;
4. ჯამბულ ხუროძე;
5. ირინა გადელია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით

აღნიშნულ საკითხს სხდომის მონაწილეები ერთხმად დაეთანხმნენ.

**დაადგინეს:** ფრაქციის ,,ქართულო ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ:

1. გიორგი კოკაია;
2. ირაკლი დიხამინჯია;
3. მინდია გაბისონია;
4. ჯამბულ ხუროძე;
5. ირინა გადელია.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**სხდომის თავმჯდომარე:** **ელიზბარ ახვლედიანი**

**სხდომის მდივანი:** **შალვა ბახია**